



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და საეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და საეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობასა და სხვა საკითხებს.
2. ინსტიტუტის დებულებას ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო.
3. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0177, ნუცუბიძის ქ. N77.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის სფერო

1. ინსტიტუტის მისიაა საქართველოში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განვითარება საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის, ვინაიდან მასთან პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის სასიცოცხლო გარემოს მრავალი სფერო, იქნება ეს სასარგებლო წიაღისეული და პლანეტის სხვა რესურსები, კლიმატი, ბიომრავალფეროვნება, პლანეტის ეკოსისტემა, ბუნებრივი კატასტროფები და მრავალი სხვა. ინსტიტუტის მისია სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და კვლევების ძირითადი მიმართულება იქნება საქართველოს კვლევები. ამავე დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ფუნდამენტურ კვლევებსა და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობას. დასახული ამოცანების განხორციელება შესაძლებელია უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელებით და უცხოელი პროფესორებისა და სპეციალისტების მაქსიმალური ჩართულობით.
2. ინსტიტუტის მიზნები:
 - ა) საქართველოში განავითაროს სამეცნიერო/გამოყენებითი ხასიათის კვლევები დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიმართულებებით, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს როგორც წმინდა პრაქტიკული, ასევე ფუნდამენტური სამეცნიერო ღირებულება.
 - ბ) შექმნას ბაზა აკადემიური განათლების მისაღებად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით. მაქსიმალურად განავითაროს სტუდენტების ჩართულობა კვლევებში როგორც ფუნდამენტურ სამეცნიერო, ისე გამოყენებით სფეროებში.

- გ) როგორც კვლევითი ასევე სასწავლო მიმართულებების შერჩევასა და იხელმძღვანელოს საქართველოს ინტერესებით და პრიორიტეტებით, როგორებიცაა: ქვეყნის უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა.
- დ) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საერთაშორისო თანამშრომლობას, ერთობლივი კვლევითი და სასწავლო პროგრამების განხორციელებას მსგავსი პროფილის უცხოურ დაწესებულებებთან.
- ე) აიყვანოს კვლევისა და სწავლების დონე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიმართულებით მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ცენტრების დონეზე.

3. ინსტიტუტის ამოცანებია:

- ა) ინსტიტუტის კვლევითი სტრატეგიის შემუშავება და კვლევით პროგრამებზე მუშაობა, პროფესორებისა და მკვლევარების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა პოპულარიზაცია (სკოლებში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში).
- ბ) თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური კვლევითი ბაზის შექმნა, სამეცნიერო-კვლევითი აპარატურისა და აღჭურვილობის ბაზის გამდიდრება და კვლევების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, რეგიონული ბაზების მომზადება და აღჭურვა, თანამედროვე ციფრული დაკვირვების ქსელების ინსტალაცია და ოპერირება, შესაბამისი მონაცემთა ბაზების ფორმირება და მონაცემების გაცვლა.
- გ) საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში ერთობლივი სავსელე კვლევების განვითარება, მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება მსგავსი პროფილის სამეცნიერო ცენტრებთან კავკასიის რეგიონში, როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.
- დ) გამართული აკადემიური სტრუქტურის ჩამოაყალიბება, რომელიც მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სტრუქტურული სრულყოფა, აკადემიური პროგრამებისა და სილაბუსების, შესაბამისი სალექციო მასალების მომზადება და დახვეწა.
- ე) აკადემიური ინფრასტრუქტურის განვითარება, ლაბორატორიების, აუდიტორიების და სამუშაო ოთახების მომზადება/აღჭურვა, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების შესაბამისი სამუშაო სივრცით და გარემოთი უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკის განვითარება.
- ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება როგორც აკადემიურ, ასევე კვლევით პროგრამებში, მათ შორის, ერთობლივი პროგრამების ამოქმედება, პროგრამებში უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების ჩართვა, სტუდენტური გაცვლითი პროგრამების განვითარება, წამყვანი ცენტრების სალექციო კურსების გაცნობა და დანერგვა. ერთობლივი პუბლიკაციების ხელშეწყობა.
- ზ) ინსტიტუტის დაფინანსებების ალტერნატიული წყაროების მოზიდვა, საერთაშორისო ფონდებში ერთობლივი პროექტების წარდგენა და გრანტების მოზიდვა, დამხმარე კომერციული საქმიანობის განვითარება, ინსტიტუტის ინტელექტუალური პოტენციალისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია, ინსტიტუტის პერსონალის ფინანსური და მატერიალური მოტივაციის გაზრდა.

4. ინსტიტუტის საქმიანობის სფეროებია:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში. ცოდნა დედამიწის (და სხვა პლანეტების) წარმოშობის, აგებულების, განვითარებისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ. პრიორიტეტულია აღნიშნული საკითხების ქვეყნის და რეგიონულ მასშტაბში კვლევა:

- ბ) ბუნებრივი კატასტროფების კვლევა, საშიშროებებისა და რისკების შეფასება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მიწისძვრებზე უწყვეტი დაკვირვებების წარმოება. სეისმური საშიშროებისა და რისკის შეფასება, სეისმური ქსელის ორგანიზება; მონაცემთა რეალურ დროში გადაცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე ადრეული შეტყობინების სისტემების შექმნა.
- გ) ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში სასწრაფო (ოპერატიული) შეტყობინება. ქვეყნის მოსახლეობისა და მთავრობისათვის ინფორმაციის მიწოდება სტიქიის მასშტაბების შესახებ და კვალიფიციური შეფასება.
- დ) დედამიწის აგებულების კვლევა გლობალურ და ლოკალურ მასშტაბებში. აქტიური პროცესების კვლევა, ტექტონიკა და ვულკანიზმი. სასარგებლო წიაღისეულის და სხვა სახის გეორესურსების კვლევა და ძიება.
- ე) ცვალებადი გარემოს კვლევები. პალეოგარემოს კვლევა და მოდელირება. ლანდშაფტისა და ზოგადად გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების შეფასება. ცვლილებების მოდელირება როგორც წარსულში, ასევე მომავალში.
- ვ) კლიმატის ცვლილების კვლევა. ჰიდროენერგეტიკული და წყლის რესურსების კვლევა და გლაცეოლოგია. კლიმატის ცვლილებების გავლენა ლანდშაფტებზე, გაუდაბნობის საკითხების კვლევა.
- ზ) საქართველოს აკვატორიების გეოგრაფიული, გეოფიზიკური და გეოლოგიური კვლევები. შავი ზღვის აკვატორიის შესწავლა, წყალქვეშა კვლევები. საქართველოს ტბების შესწავლა და კადასტრი.
- თ) ბუნებრივი რესურსების კვლევა და ტურისტული პოტენციალის შეფასება. გეოგრაფიული ძეგლების, კარსტებისა და მღვიმეების კვლევა.
- ი) სეისმურ, გეოფიზიკურ და სხვა ველებზე დაკვირვებისათვის საჭირო ციფრული აპარატურის შექმნა-სრულყოფა.
- კ) საინჟინრო გეოლოგიური კვლევები გეოლოგიური და გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგი. გრუნტის აგებულების კვლევა გეოფიზიკური მეთოდებით. სეისმომედეგი მშენებლობის ხელშეწყობა.
- ლ) გეოსაინფორმაციო სისტემები და აეროკოსმოსური სურათების ანალიზი. თანამედროვე კომპიუტერული და სატელიტური ტექნოლოგიების დანერგვა და ფართოდ გამოყენება დედამიწის შემსწავლელ კვლევებში.
- მ) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებებით. ახალი სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალის მომზადება და გადამზადება.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის დირექტორის/დირექტორების, ინსტიტუტის საბჭოსა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან;
2. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებსა და მათ დებულებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს ინსტიტუტის საბჭო. ინსტიტუტში გაერთიანებული არიან პროფესორები და მკვლევრები, რომელთა სასწავლო და კვლევითი დატვირთვა აისახება მათ შრომით ხელშეკრულებაში უნივერსიტეტთან.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი/დირექტორები და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.
2. ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო.
3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუ საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის წევრების 2/3.
5. ინსტიტუტის საბჭო:
 - ა) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის (დირექტორების) მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;
 - ბ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის (დირექტორების) მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;
 - გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;
 - დ) ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.
6. ინსტიტუტის დირექტორი:
 - ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;
 - ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;
 - გ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევარების და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;
 - დ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო;
2. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
3. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების“ სახით.

მუხლი 6. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი.
2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები ჩამოყალიბებულია მათ შრომით კონტრაქტში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.
3. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 8. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნისა და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 9. ცვლილების შეთანხმების წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავენ და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

